ივლისი, 2016

იუნისეფი საქართველოში

საინფორმაციო ბიულეტენი, №1 (№19)

unite for children

unicef

უკეთესი სამართლებრივი გარემო ბავშვებისთვის

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები, ისევე, როგორც დაზარალებული ან მოწმე ბავშვები 2015 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შედეგად ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემით ისარგებლებენ. კოდექსი წარმოადგენს ყოვლისმომცველ სამართლებრივ ჩარჩოს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა შესაბამისობაში მოჰყავს საერთაშორისო სტანდარტებთან. კოდექსი, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის დახმარებით შემუშავდა, 2016 წლის იანვარში შევიდა ძალაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას მართლმსაჯულების სისტემაში და რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების დამკვიდრებას. კერძოდ, კოდექსით გათვალისწინებულია პროფესიონალთა სპეციალიზაცია; თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, ალტერნატიული ზომებისა და არასადამსჯელო მექანიზმების შემოღება და კანონთან კონფლიქტში მყოფი და დანაშაულის მსხვერპლი ან მოწმე ბავშვების, ისევე, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებაში მონაწილე ბავშვების მიმართ ინდივიდუალური მიდგომების შემოღება.

კოდექსის განხორციელება, კერძოდ, ითვალისწინებს შემდეგს: კანონქვემდებარე აქტების და სპეციალიზებული პროფესიონალებისათვის პროტოკოლებისა და სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება; სამართლის სფეროს პროფესიონალების სრული სპეციალიზაცია და ამ სისტემის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების შემდგომი განვითარება; სასამართლოსა და სხვა სისტემებში ინდივიდუალური შეფასების მექანიზმების დანერგვა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განხორციელების და, ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა უფლებების დაცვის სათანადო მონიტორინგი.

კანონი ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ

ბავშვები მიიღებენ ხარისხიან, ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ სკოლამდელ განათლებას საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის ივნისში ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ მიღებული კანონის საშუალებით. კანონი ქმნის უფრო ძლიერ სამართლებრივ საფუძვლებს და აწესებს სახელმწიფო სტანდარტებს ინკლუზიური სკოლამდელი განათლების უზრუნველსაყოფად ყველა ბავშვისთვის საქართველოში.

კანონი ითვალისწინებს მოსამზადებელ წელიწადს ყველა ხუთი წლის ბავშვისთვის სკოლისათვის მზაობის მიზნით, ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის მექანიზმების შექმნას, ცენტრალური ხელისუფლების გაზრდილ პასუხისმგებლობას ეროვნული სტანდარტების მონიტორინგისათვის და მუნიციპალიტეტების დახმარებას ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მართვის, ხარისხის და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

კანონის განხორციელებისათვის აუცილებელია ჩამოყალიბდეს ეროვნული სისტემა სკოლამდელი განათლების პედაგოგების მოსამზადებლად და ეროვნული სტანდარტების განხორციელების რეგულარული მონიტორინგი იმ ცენტრალური სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ, რომელთაც შეიმუშავეს შესაბამისი სტანდარტები.

საკანონმდებლო პაკეტი ძალადობისგან ბავშვების უკეთ დასაცავად

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებები ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების სამართლებრივი დაცვის გასაძლიერებლად. საკანონმდებლო პაკეტი შეიქმნა სხვადასხვა სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის მიერ.

პაკეტი შედგება სხვადასხვა კანონში შესატანი შესწორებებისაგან და მოიცავს მნიშვნელოვან ცვლილებებს. კერძოდ, უკეთესი საკანონმდებლო გარანტიების შექმნისა და სპეციფიკური მომსახურებების (საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია, განათლების და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სხვ.) მიწოდების მიზნით შემოტანილია "მიუსაფარი ბავშვის" განსაზღვრება; ადგილობრივი მუნიცი-

პალიტეტები და სხვა სამინისტროები დამატებულია იმ სამთავრობო უწყებების სიას, რომლებიც, "რეფერირების სახელმწიფო მექანიზმის" ფარგლებში პასუხისმგებელნი არიან რეაგირება მოახდინონ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე; უზრუნველყოფს საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის მოწესრიგებას, ზოგ შემთხვევაში კი, პირადობის დროებითი ბარათების, გაცემას მიუსაფარი ან ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის; ზრდის სოციალური მუშაკის უფლებამოსილებას, უკიდურეს შემთხვევებში, გამოიყენოს ბავშვის ოჯახიდან განცალკევების უფლება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

შეტყობინების პროცედურების შესახებ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება

2016 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მოახდინა შეტყობინების პროცედურების შესახებ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება, რაც საშუალებას მისცემს ბავშვებს, გაასაჩივრონ მათი უფლებების დარღვევის კონკრეტული შემთხვევები. ფაკულტატური ოქმის საფუძველზე გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს შეტყობინება ბავშვის უფლებათა დარღვევის შესახებ შემდეგი გზებით:

- კომუნიკაცია თავად ბავშვებისგან (ინდივიდუალური ან ჯგუფური), რომელთა კონვენციით დაცული უფლებებიც დაირღვა და გამოიყენოს დროებითი ზომები და მშვიდობიანი გზით მორიგების შესაძლებლობა;
- სახელმწიფოთაშორისი საჩივრები (სახელმწიფოს შეაქვს საჩივარი სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ);
- საქმის შესწავლის პროცედურები, რომლებიც საშუალებას მისცემს ბავშვის უფლებათა კომიტეტს წამოიწყოს მძიმე და სისტემატური დარღვევების გამოძიება, მიუხედავად იმისა მიიღო თუ არა გარედან შეტყობინება ამის შესახებ.

ფაკულტატური ოქმი ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემებში ეროვნულ დონეზე არსებული ხარვეზების აღმოჩენას და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე დამოუკიდებელი უფლებადამცველი ინსტიტუტების გაძლიერებას.

კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ

გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, რომლის მიზანია ქვეყნის შიდა და საერთაშორისო გაშვილების შესახებ ეროვნული კანონმდებლობა მიესადაგებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას. გაუმჯობესებული კანონმდებლობა ხელს შეუწყობს ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმას და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ოჯახურ გარემოში განთავსებას.

კანონი ადგენს კონკრეტულ რეგულაციებს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ და შემოაქვს სავალდებულო ტრენინგები და კონსულტაციები მშვილებელი და მიმღები ოჯახებისათვის. კანონი ჯერ არ არის ინიცირებული პარლამენტში.

ადამიანის უფლებები ყველასთვის

ევროკავშირის ფინანსური დახმარებით დაიწყო ახალი სამწლიანი პროგრამა ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის ხელშესაწყობის მიზნით. პროგრამის პრიორიტეტებს შორისაა უმცირესობათა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა, სამართალდამცავ სტრუქტურებზე ზედამხედველობა, შრომის უფლებები, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება.

პროექტს ერთობლივად ახორციელებს გაეროს ოთხი სააგენტო - გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ბავშვთა ფონდი, ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.

მოწოდება პოლიტიკურ პარტიებს წინასაარჩევნო კამპანიებში ჩართონ ბავშვთა საკითხები

იმოქმედე ბავშვთა უფლებების დაცვისათვის

მომავალი საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში გაეროს ბავშვთა ფონდმა მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს, წინასაარჩევნო დისკუსიებსა და კამპანიებში გაითვალისწინონ ბავშვთა საკითხები. პოლიტიკურ პარტიებს გაეგზავნათ რვა კონკრეტული კითხვა თხოვნით, წარმოედგინათ თავიანთი ხედვა და გეგმები ბავშვთა სიღარიბის, ჩვილთა და დედათა სიკვდილიანობის, კვების დეფიციტის შემცირებასთან დაკავშირებით, ხარისხიანი სკოლამდელი და ზოგადი განათლების უზრუნველყოფის, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ.

“დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებთან” თანამშრომლობით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიმართა დისკუსიები, სადაც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება, აუდიტორიისთვის გაეცნოთ თავიანთი გეგმები ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ.

© იუნისეფი/საქ-2015/გურგენიძე

სოციალური დაცვის ახალი სისტემა მიმართულია ღარიბ ბავშვიან ოჯახებზე

© ოუნისეფი/საქ-2015/ხეთაგური

საქართველოში ბავშვები უფრო მეტად არიან სიღარიბის რისკის წინაშე, ვიდრე მოსახლეობის ნებისმიერი სხვა ჯგუფი. გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით საქართველოს მთავრობამ მოახდინა მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის რეფორმა, რომლის მიზანიც სწორედ ბავშვთა სიღარიბის შემცირება იყო. განახლებული სისტემა 2015 წლიდან შევიდა ძალაში. ახალი მეთოდოლოგიით უმჯობესდება ღარიბი ბავშვების მოცვა და შემოღებულია ფულადი დანამატი ბავშვების 40 პროცენტისათვის. 2016 წლის მაისისთვის, 16 წლამდე 144,044 ბავშვმა მიიღო ფულადი დანამატი, ხოლო მათგან 55,689 ბავშვმა პირველად მიიღო დახმარება სწორედ ახალი მეთოდოლოგიის შედეგად.

რეფორმის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახების საჭიროებების უკეთ გამოვლენა და 2016 წლის ბოლოსთვის უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვთა რაოდენობის განახევრება. სამომავლო გეგმებში შედის ფისკალურად მდგრადი სოციალური დაცვის სისტემების ჩამოყალიბება, იმ ოჯახთა სიღარიბისგან დაცვა, რომლებსაც გარკვეული ეკონომიკური და სხვა სახის რყევების განცდა უწევთ და ოჯახების დახმარება, გაიუმჯობესონ შემოსავლები და ცხოვრების დონე. ამ მიზნების მისაღწევად მიმდინარეობს ეროვნული და ადგილობრივი სოციალური დახმარებებისა და მომსახურებების აღრიცხვა, რათა გამოვლინდეს სხვადასხვა დაუცველი ჯგუფისთვის არსებული სოციალური პროგრამები და ასევე კონკრეტული ხარვეზები.

გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტომ შეიმუშავა ბავშვთა მდგომარეობის შეფასების ინსტრუმენტი, რომელსაც ოჯახების შეფასებისას გამოიყენებენ სოციალური აგენტები. ეს მათ საშუალებას მისცემთ, გამოავლინონ ბავშვის უფლებების დარღვევის შემთხვევები და გადაამისამართონ შესაბამის სააგენტოებში ან სოციალურ მუშაკებთან, ექიმებსა თუ პოლიციასთან.

მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა

2015 წელს გაეროს ბავშვთა ფონდმა ჩაატარა „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მეოთხე რაუნდი. კვლევის ფარგლებში ხდება ერთსა და იმავე ოჯახებზე დაკვირვება 2009 წლიდან და მასში ასახულია სიღარიბის ტენდენციები, სოციალური დახმარებების ეფექტიანობა, შესწავლილია განათლების, ჯანმრთელობის, სანიტარული მდგომარეობის, ბავშვის განვითარების და სხვა თემებთან დაკავშირებული საკითხები. კვლევის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის სექტემბერში.

© იუნისეფი/საქ-2015/ხიზანიშვილი

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მხარდაჭერა

თბილისსა და ქუთაისში მცხოვრებ 600-ზე მეტ ბავშვსა და მათ ოჯახებს გაეწიათ დახმარება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მხარდაჭერას, მათ რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

პროექტს ახორციელებდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გაეროს ბავშვთა ფონდთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებთან, თბილისის და ქუთაისის მერიებთან თანამშრომლობით.

სამი წლის წინ დაწყებული პროექტის შედეგად შეიქმნა სერვისები და მექანიზმები (მობილური ჯგუფები, დღის/კრიზისული ინტერვენციის ცენტრები, ტრანზიტული ცენტრები), რომლებიც ახდენენ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირებას, სთავაზობენ მათ დაუყონებლივ დახმარებასა და დაცვას, მუშაობენ მათთან და მათ ოჯახებთან, რომ მოხდეს ამ ბავშვების ჩართვა არსებულ სოციალურ და ბავშვთა დაცვის მომსახურებებში, როგორებიცაა მინდობით აღზრდა და მცირე საოჯახო ტიპის სახლი, ან მოხდეს მათი რეინტეგრაცია ბიოლოგიურ ოჯახში. ბავშვებს სათანადო, მათზე ინდივიდუალურად მორგებულ მომსახურებებს აწვდიან არასამთავრობო ორგანიზაციები: კარიტას საქართველო, ვორლდ ვიჟენი, ბავშვი და გარემო.

შემდგომი ნაბიჯები ითვალისწინებს ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების გაძლიერებას და სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდას ქვეყნის მასშტაბით. მნიშვნელოვანია სახელმწიფოში შეიქმნას ძლიერი სოციალური დაცვის და ბავშვის ძალადობისაგან დაცვის მექანიზმები, რომლებიც მოახდენს ბავშვების ქუჩაში გასვლის პრევენციას. ასევე, არსებითია, შეიცვალოს ყველაზე დაუცველი ბავშვების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება.

© იუნისეფი/საქ-2015/ხიზანიშვილი

ინდივიდუალური ისტორიები

გიორგი

გიორგი 17 წლისაა. ის ბავშვობიდან ქუჩაში მუშაობდა და სანთლების გაყიდვითა და მოწყალების თხოვნით ირჩენდა თავს. გიორგის სახლში მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობები ჰქონდა და ის დედის მხრიდან იყო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. დღის ცენტრის თანამშრომლების დახმარებით გიორგიმ დაამთავრა 9 კლასი, რის შემდეგაც ჩააბარა პროფესიულ კოლეჯში მზარეულის კურსებზე. ცენტრის თანამშრომლებმა მას ყველა სასწავლო ნივთი შეუძინეს. მალე გიორგი შესაბამის სერტიფიკატს აიღებს და შეძლებს სამსახურის მოძიებას.

ალეკო

15 წლის ალეკო სხვადასხვა ბავშვთა სახლში იზრდებოდა. მას დამთავრებული აქვს 9 კლასი. 2014 წლიდან ალეკო ტრანზიტულ ცენტრშია. ადრე მას ახასიათებდა იმპულსურობა, უჭირდა საკუთარი ქცევის კონტროლი, რის გამოც ექმნებოდა პრობლემები. ცენტრის თანამშრომელთა ძალისხმევით სიტუაცია შედარებით გაუმჯობესდა. ახლა იგი ცდილობს უფრო აკონტროლოს საკუთარი ქცევა, ემოციები და გაითვალისწინოს სხვების აზრი. მან წარმატებით დაამთავრა კოლეჯი და მოიპოვა ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნიკოსის კვალიფიკაცია. ამან სრულიად შეცვალა დამოკიდებულება საკუთარი თავისა და გარშემომყოფთა მიმართ. ალეკო უფრო თავდაჯერებული გახდა და აუმაღლდა თვითშეფასება. ამჟამად იგი კრივზე დადის და მეგობრებიც დააინტერესა სპორტის ამ სახეობით.

ვიდეოფილმმა ქუჩაში მცხოვრებ ბავშვთა მიმართ სტიგმის შესახებ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო

ვიდეო, სოციალური ექსპერიმენტი, ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა მიმართ სტიგმის შესახებ, რომელიც იუნისეფ საქართველოს მიერ გლობალური კამპანიის #fightunfair ფარგლებში მომზადდა, ერთ-ერთი ყველაზე ყურებადი გახდა მსოფლიოს მასშტაბით. მისი ძირითადი მიზანია ხაზი გაუსვას არათანაბარ შესაძლებლობებს და საზოგადოების მხრიდან განსხვავებულ დამოკიდებულებას სხვადასხვა ბავშვის მიმართ.

სიუჟეტი მოგვითხრობს ექვსი წლის გოგონაზე, რომელსაც ჰქვია ანანო და რომელსაც ხალხი განსხვავებულად ეპყრობა, მისი გასხვავებული გარეგნობიდან გამომდინარე. ვიდეო გვიჩვენებს, რომ ბავშვებს, მათი სტატუსისა და გარეგნობის მიხედვით, სხვადასხვანაირად ექცევიან.

ვიდეო 28 ივნისს გავრცელდა და მომენტალურად მოიპოვა პოპულარობა საქართველოსა, თუ სხვა ქვეყნებში. ვიდეოფილმი სხვადასხვა ფორმით გავრცელდა გაეროს ბავშვთა ფონდის გლობალური პლატფორმების, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლობების საშუალებით, ისევე, როგორც მედიისა და სხვა პარტნიორების მიერ. 2016 წლის ივლისის მონაცემებით, ეს არის იუნისეფის მიერ სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული საუკეთესო ვიდეო 157 მილიონზე მეტი ნახვითა და 4 მილიონი გაზიარებით ფეისბუკში.

შეზღუდული შესაძლებლობების სოციალური მოდელის შემუშავება

საქართველომ მოახდინა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება, რაც ითვალისწინებს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას, როგორებიცაა შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სტიგმა და პატარა ქალაქებსა და სოფლად მცხოვრები ოჯახების მხარდამჭერი მომსახურებების ნაკლებობა. კონვენცია ასევე მოითხოვს შეიცვალოს შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების არსებული სამედიცინო მოდელი, რომელიც ფოკუსირებულია სამედიცინო დიაგნოზზე და უგულვებელყოფს სპეციალური საჭიროებების მქონე ბევრ ბავშვს.

არსებული სამედიცინო მოდელის სოციალური მოდელით ჩანაცვლების მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდი ეხმარება საქართველოს მთავრობას შეზღუდული შესაძლებლობების შეფასების სოციალური/ფუნქციური მოდელის კონცეფციის, შესაბამისი პოლიტიკისა და საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებაში.

გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილია ექსპერტებისა და მთავრობის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი. მისი მიზანია ეროვნულ კანონმდებლობაში ხარვეზების გამოვლენა და სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების განხილვა. შემდგომ ეტაპზე სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბებს შეზღუდული შესაძლებლობების ახალ ეროვნულ ფუნქციურ მოდელს და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმას.

ახალი სპეციალიზებული მომსახურებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის

2015 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ხორციელდება პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დაცვა“, რომელიც მიზნად ისახავს შეიქმნას მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობების ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთათვის სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურებები, სადაც შესაძლებელი იქნება ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში მოვლა, აღზრდა და მათი ინდივიდუალური განვითარებისათვის საჭირო მომსახურებების მიწოდება.

პროექტის ფარგლებში შეიქმნება ალტერნატიული ზრუნვის მცირე ზომის ორი დაწესებულება თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის ბინადრებისათვის, რაც ითვალისწინებს მძიმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის ინტენსიური სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარებისა და მოვლის მოდელების შექმნას. მომსახურების მიზანია ბავშვებისათვის ცხოვრების უკეთესი ხარისხის შექმნა და მეტი სოციალური ინკლუზიის უზრუნველყოფა, რადგანაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები შეძლებენ ჩაერთონ სკოლამდელ და ზოგადი განათლების სისტემებში. აღნიშნული მოდელის შექმნა საშუალებას მისცემს საქართველოს მთავრობას გააფართოოს ალტერნატიული მომსახურებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის და დაასრულოს ამ ბავშვებზე ინსტიტუციონალური ზრუნვა.

პროცესის ხელშეწყობის მიზნით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია შემუშავდეს: ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებების და შესაბამისი სტანდარტების მოდელი; სერვისის მომწოდებლების რეგისტრაციისათვის საჭირო მოთხოვნები; ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების გასახსნელად საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნული მომსახურებები 2016 წელს ამოქმედდება.

© იუნისეფი/საქ-2015/გურგენიძე

მართლმსაჯულება ყველასათვის –

გზა ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების სისტემისკენ

მართლმსაჯულების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში არის ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით დაწყებული პროექტის ძირითად მიზანი. პროექტი, რომლის პრეზენტაცია 2016 წლის ივნისში გაიმართა, ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ.

პროექტი უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახლად მიღებული კოდექსის ძირითადი პრინციპების განხორციელებას პრაქტიკაში. კერძოდ, დაგეგმილია სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის ეროვნული კანონმდებლობის გადასინჯვა ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; მართლმსაჯულების სისტემაში მყოფი ბავშვების შესახებ სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნა; ბავშვის უფლებათა მონიტორინგის და ხარისხის უზრუნველყოფის უწყებრივი მექანიზმების გაძლიერება; მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვებისთვის უკეთესი გარემოს შექმნა; სისხლის და სამოქალაქო სამართლის სისტემის სპეციალიზაცია და პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლება; კანონთან კონფლიქტში მყოფი და დაზარალებული ან მოწმე ბავშვებისა და სამოქალაქო და

© იუნისეფი/საქ-2016/გურგენიძე

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებაში მონაწილე ბავშვების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ.

ინდივიდუალური ისტორიები

გიორგის ამბავი

გიორგი 16 წლისაა. ერთი წლის წინ ის არ დადიოდა სკოლაში და მთელს დროს ქუჩაში ატარებდა. მას რთული ურთიერთობები ჰქონდა დედასთანაც და გიორგი სახელმწიფოს ზრუნვაში განთავსდა. საკუთარ ოჯახში არახელსაყრელი პირობებისა და ძალადობის შემთხვევების გამო იგი გარკვეული პერიოდი მცირე ზომის დაოჯახო სახლში და კრიზისულ ცენტრში ცხოვრობდა. ამასთან, გიორგი დროდადრო ფფსიქოტროპულ მედიკამენტებს იყენებდა. მას შემდეგ, რაც ქუჩაში ცხოვრებისას ახალგარდა მამაკაცი გაძარცვა, გიორგი დააკავეს.

სოციალურ მუშაკებთან კონსულტაციის შემდეგ, რომლებმაც გიორგის რისკები და საჭიროებები შეაფასეს, იგი ჩაერთო განრიდების სახელმწიფო პროგრამაში. აღნიშნული სახელმწიფო პროგრამა საქართველოში 2010 წლიდან მოქმედებს ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით და საშუალებას აძლევს არასრულწლოვანს, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, განერიდოს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას და ჩაერთოს საგანმანათლებლო, სასპორტო ან სოციალურ საქმიანობებში.

გიორგიმ გაიარა ფსიქოთერაპიის კურსი და მონაწილეობა მიიღო აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამაში, რაც დაეხმარა მას, გაეთვითცნობიერებინა ზიანი, რომელიც დანაშაულის ჩადენით მან სხვა ადამიანებს მიაყენა.

სოციალურ მუშაკებთან და ფსიქოლოგებთან კონსულტაციების შემდეგ გიორგი დაბრუნდა დედასთან, განაგრძო სწავლა, იყო რამდენიმე სარეაბილიტაციო პროგრამის, ასევე სოციალური და კულტურული ღონისძიების მონაწილე. მას ახალი ინტერესები აქვს და შეუძლია საკუთარი ემოციებისა და ქცევის უკეთ მართვა. ის თბილისის ერთ-ერთ თავშესაფარში უვლის მიტოვებულ ძაღლებს. გიორგის სურს, გამოვიდეს ექიმი და მყარად აქვს გადაწყვეტილი სწავლის გაგრძელება და რამდენიმე ენის შესწავლა.

ბავშვის განვითარების მონიტორინგი

საქართველომ მიაღწია ათასწლეულის განვითარების მიზანს ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობასთან დაკავშირებით, თუმცა ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაინც ორჯერ მაღალია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე. სიკვდილიანობა ყველაზე მაღალია ადრეულ ნეონატალურ პერიოდში და განსხვავებულია მონაცემები სოფელსა და ქალაქს შორის. ჩვილ ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობის გამომწვევ მიზეზებს შორის უმთავრესია ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის მომსახურებების დაბალი ხარისხი.

გაეროს ბავშვთა ფონდი ეხმარება საქართველოს მთავრობას, ამოქმედდეს პირველადი ჯანდაცვის სისტემის პროფესიონალების მიერ ბინაზე მეთვალყურეობის პროგრამა, რაც ითვალისწინებს ვიზიტებს 0-3 წლის ასაკის ბავშვიან ოჯახებში და მშობელთა განათლებასა და ინფორმირებას ჯანდაცვასა და სხვა თემებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს განსაკუთრებით ღირებულია სოციო-ეკონომიკური სირთულეების, ფსიქოლოგიური სტრესისა და სხვა პრობლემების მქონე ოჯახებისთვის. ბინაზე მეთვალყურეობის სისტემა უზრუნველყოფს ბავშვებში განვითარების შეფერხების გამოვლენას ადრეულ ეტაპზე და ამ ოჯახების შესაბამის სპეციალისტებთან და სხვა სექტორებთან დაკავშირებას.

საქართველოში შემუშავდა ბინაზე მეთვალყურეობის კონცეფცია და მისი პილოტირება იგეგმება ორ რეგიონში - იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. ამჟამად მიმდინარეობს საპილოტე პროგრამისთვის მზადება და აღნიშნული ეტაპი მოიცავს იმ ექთნების მასობრივ გადამზადებას, რომელთაც უნდა განახორციელონ ბინაზე მეთვალყურეობა.

მომდევნო ეტაპი ითვალისწინებს ეროვნული რეგულაციების გადასინჯვას და ბინაზე მეთვალყურეობის გაფართოებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პერინატალური ზრუნვის გაუმჯობესება რეგიონალიზაციის გზით

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავდა და მთელი ქვეყნის მასშტაბით ინერგება პერინატალური ზრუნვის რეგიონალიზაცია, რაც მნიშვნელოვანია დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის მომსახურების სისტემის გაძლიერებისთვის. მოსალოდნელია, რომ პერინატალური ზრუნვის რეგიონალიზაციის შემოღება ხელს შეუწყობს დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირებას.

© იუნისეფი/საქ-2015/ხეთაგური

რეგიონალიზაცია გულისხმობს საქართველოში არსებული სამშობიარო სახლებისთვის დონეების (I-III დონე) მინიჭებას, თითოეული დონისთვის წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების თანახმად, ადამიანური რესურსის, ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის, ლაბორატორიებისა და დიაგნოსტიკური მომსახურების მიხედვით. თითოეული დონე ემსახურება პაციენტებს, რომელთაც ესაჭიროებათ შესაბამისი ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსი. მშობიარობა უნდა მოხდეს იმ სამშობიაროში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს კონკრეტული ფეხმძიმე ქალის საჭიროებებს, შესაბამისი ტექნიკისა და კვალიფიციური პერსონალის თვალსაზრისით.

პილოტური პროექტი 2015 წელს დაიწყო იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის პერინატალურ დაწესებულებებში აშშ-ს მთავრობის ხელშეწყობით. შემდეგ პროექტი გაფართოვდა ქვემო ქართლსა და თბილისში როტარი კლუბსა და გაეროს მოსახლეობის ფონდთან თანამშრომლობით. 2016 წლის ივლისიდან რეგიონალიზაციის კონცეფციის განხორციელება დაიწყება აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში, მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში იუნისეფის მხარდაჭერით. ინიციატივა დაინერგება კახეთსა და სამცხე-ჯავახეთშიც ვორლდ ვიჟენთან თანამშრომლობით.

ახალი ინიციატივა ასევე, ითვალისწინებს შესაბამისი პროფესიონალების, მეან-გინეკოლოგები, ბებია-ქალები და ნეონატალოგები, გადამზადებას.

სამეგრელოსა და აჭარის რეგიონებში პერინატალური ზრუნვის რეგიონალიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად შრომის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებითა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, ივლისში ორი კონფერენცია გაიმართა ზუგდიდსა და ბათუმში.

© ოუნისეფი/საქ-2015/ხეთაგური

ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ახალი ელექტრონული სისტემა

ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის გაუმჯობესების მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოში ამუშავდა აღრიცხვიანობის ახალი ელექტრონული სისტემა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას.

„ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის“ დანერგვას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო და დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ნორვეგიის ტრომსოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

მოცემული სისტემა წარმოადგენს ინტერნეტ-მოდულს, რაც არ საჭიროებს მის ინსტალაციას თითოეულ კომპიუტერზე და მნიშვნელოვნად ამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებს. მოდული თავს უყრის დედის, ნაყოფისა და ახალშობილის შესახებ ინფორმაციას და ქმნის საფუძველს სრულყოფილი ეპიდემიოლოგიური ანალიზისათვის. ქვეყნის მასშტაბით მონაცემთა შეყვანის ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით სპეციალური მომზადება გაიარა სამშობიარო სახლებისა და ანტენატალური კლინიკების 500-მდე წარმომადგენელმა.

2016 წლიდან „ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში“ მონაცემების განთავსება სავალდებულო გახდა. აღნიშნული მოდულის დანერგვით ქვეყანა აძლიერებს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მართვის საინფორმაციო სისტემას; უზრუნველყოფს მონაცემთა სიზუსტეს; აადვილებს მომსახურების მიწოდებაზე კონტროლსა და ანგარიშგებას; აუმჯობესებს სერვისის ხარისხს და იძენს უდიდეს პოტენციალს გახდეს მსოფლიო სამეცნიერო კვლევების ნაწილი.

აცრების მობილური ტელეფონების აპლიკაცია მშობლებისათვის

მშობლებს საშუალება ექნებათ აკონტროლონ თავიანთი შვილების ვაქცინაცია სპეციალური მობილური ტელეფონის აპლიკაციის საშუალებით, რომელიც შეიქმნა მშობლებისათვის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინიციატივით და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით.

აპლიკაციის საშუალებით მშობლები მიიღებენ ინფორმაციას ქვეყანაში მოქმედი პროფილაქტიკური აცრების კალენდრის, ვაქცინების, ვაქცინაციის უკუჩვენებების, აცრების ჩატარების რეკომენდებული ასაკებისა და ვაქცინაციით მართვადი დაავადებების შესახებ. აპლიკაციის ერთ-ერთი ფუნქციაა ჩასატარებელი აცრების ვადების შეხსენება. ამისთვის საჭიროა, მობილურ ტელეფონში ჩამოტვირთულ აპლიკაციაში ბავშვის/ბავშვების - სახელი, გვარი, დაბადების თარიღის შეყვანა და უკვე ჩატარებული აცრების მონიშვნა. მომდევნო აცრის თარიღის მოახლოებისთანავე მშობლები მიიღებენ შეტყობინებას ჩასატარებელი აცრების სახეობისა და თარიღის შესახებ.

აპლიკაცია იყენებს IOS და Android პლატფორმებს და მშობლებს შეუძლიათ მისი ჩამოტვირთვა პორტალებიდან App Store ან Google Play.



ღონისძიებები კვების დეფიციტის აღმოსაფხვრელად

დაახლოებით ნახევარი მილიონი საქართველოს მოქალაქე, უმეტესად ქალი და ბავშვი, განიცდის კვების დეფიციტს რაიმე ფორმით. კვების დეფიციტი, ვიტამინებისა და მნიშვნელოვანი მიკროელემენტების ნაკლებობა, არა მხოლოდ ბავშვის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე, არამედ მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, აკადემიურ მოსწრებასა და შრომისუნარიანობაზეც ახდენს გავლენას.

ორსული ქალებისა და ბავშვების უზრუნველყოფა ვიტამინებისა და მიკროელემენტების სპეციალური დანამატებით და ექსკლუზიური ძუძუთი კვების წახალისება კვების დეფიციტის შესამცირებლად რეკომენდებული ღონისძიებებია. საქართველოს მთავრობამ უკვე დაიწყო ორსული ქალებისა და სოციალურად დაუცველი ბავშვების მომარაგება მიკროელემენტების სპეციალური დანამატებით. მოსალოდნელია, რომ მრავალკომპონენტიანი მიკრონუტრიენტების შემცველი ფხვნილები, რომლებსაც საკვებს აყრიან მოხმარების წინ (გამდიდრება სახლის პირობებში), გაზრდის კვებით ღირებულებას 6-24 თვის ბავშვებისთვის მათი განვითარების კრიტიკულ პერიოდში.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეისწავლა ძუძუთი კვების პრაქტიკა სამშობიარო სახლებში. დაგეგმილია სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც მონიტორინგს გაუწევს "ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ" საქართველოს კანონის განხორციელებას.

საინფორმაციო კამპანია კვების დეფიციტის შესახებ

2015 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია კვების დეფიციტის შესახებ და მისი მიზანი იყო მოსახლეობის ინფორმირება მიკროელემენტების ნაკლებობით გამოწვეული დარღვევების, მოსახლეობაზე მისი გავლენისა და კვების დეფიციტის შესამცირებლად კონკრეტული რეკომენდაციების შესახებ.

კამპანიის ფარგლებში გაიმართა სემინარები ჟურნალისტებისთვის, რის შედეგადაც მედიის საშუალებით ამ თემაზე არა ერთი სიუჟეტი თუ სტატია გავრცელდა, მომზადდა ანიმაციური ფილმები, მიმდინარეობდა სოციალური მედიის კამპანია, რომლის ნაწილიც იყო ვიდეო რგოლები ცნობილი ექიმების მონაწილეობით. აღნიშნულმა კამპანიამ საზოგადოებაში აქტიური დისკუსია გამოიწვია, რის შედეგადაც მოსახლეობის 41 პროცენტმა მიიღო ინფორმაცია კვების დეფიციტისა და რკინითა და ფოლიუმის მჟავით ფქვილის გამდიდრების მნიშვნელობის შესახებ.

© იუნისეფი/საქ-2015/გურგენიძე

სასკოლო მზაობის პროგრამა

სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლაში აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ადრეული ასაკის ბავშვების სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში სიარულის მაჩვენებელი გაიზარდა, 3-6 წლის ბავშვების დაახლოებით მესამედი არ იღებს სკოლამდელ განათლებას.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა სასკოლო მზაობის ეროვნული პროგრამა ხუთი წლის ასაკის ყველა ბავშვისთვის. პროგრამა უკვე ამოქმედდა თბილისის ყველა საბავშვო ბაღში, ხოლო ქვეყნის მასშტაბით მისი გაფართოება დაგეგმილია 2016 წლისთვის.

სკოლისათვის მზაობის პროგრამის მთავარი არსია:

- სწავლის წახალისება თამაშით და ინდივიდუალური მიდგომით ისე, რომ ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები უკეთ იყოს გათვალისწინებული;
- სოციალურ-ემოციური და სააზროვნო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს უკეთ მომზადებულები შეხვდნენ პირველი კლასის გამოწვევებს სკოლაში, სადაც სასწავლო პროცესი უფრო სტრუქტურიზებულია და მოითხოვს ახალი წესების მორჩილებას;
- ყველა ბავშვის პოტენციალის რეალიზება მისი განვითარების, ასაკის, ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით და საქართველოს მასშტაბით ყველა ბავშვისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა.

იუნისეფის დახმარებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავდა სკოლისათვის მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტები; სკოლისათვის მზაობის პროგრამის სახელმძღვანელო და აქტივობათა წიგნი; და ტრენინგ მოდულები, რათა აღმზრდელ-პედაგოგები მზად იყვნენ წარმართონ სასწავლო პროცესი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის.

სასკოლო მზაობის პროგრამის ასამოქმედებლად საჭიროა მასწავლებელთა მომზადება, მონიტორინგი, შესაბამისი გარემო და სასწავლო მასალები, მჭიდრო თანამშრომლობა ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს შორის.

© იუნისეფი/საქ-2015/გურგენიძე

ადრეული და სკოლამდელი განათლების ახალი სტანდარტები

გაეროს ბავშვთა ფონდი ეხმარება საქართველოს მთავრობას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებაში. კერძოდ, შემუშავდა შემდეგი სახის სტანდარტები:

- აღმზრდელ-პედაგოგთა გზამკვლევი, თუ როგორ ვასწავლოთ პირადი ჰიგიენის საკითხები ბავშვებს მათი ასაკისთვის შესაფერისი ფორმით;
- დირექტივები და ტექნიკური რეგლამენტები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში წყლის, სანიტარიის და ჰიგიენის, ასევე კვების ორგანიზების შესახებ;
- ტექნიკური რეგლამენტი ბავშვთა სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების შესახებ;
- აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული სტანდარტები და ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტები.

სტანდარტების შემუშავება ასევე ითვალისწინებს აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას. მნიშვნელოვანია, ცენტრალურმა ხელისუფლებამ განახორციელოს მუნიციპალიტეტების მიერ აღნიშნული სტანდარტების შესრულების მონიტორინგი.

ეროვნული სასწავლო გეგმის განახლების პროცესი

განათლების ხარისხი საქართველოში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ესტონელი ექსპერტების მხარდაჭერით, განახორციელა 1-12 კლასების საგნობრივი პროგრამების რევიზია. განახლებული სასწავლო პროგრამა მოსწავლეებს მისცემს საჭირო ცხოვრებისეულ უნარებს და მაქსიმალურად შეუწყობს ხელს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების განვითარებას. ამგვარი სასწავლო პროგრამა არის წარმატებული საბოლოო შედეგის წინაპირობა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე სისტემურ დონეზე. განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე დაიწყება ახალი სახელმძღვანელოების მომზადება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, გაეროს ბავშვთა ფონდმა და ესტონელმა ექსპერტებმა დახმარება გაუწიეს რვა სახელმწიფო უნივერსიტეტს სკოლის მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების(როგორც სწავლების დაწყებამდე, ასევე უშუალოდ სწავლების პროცესში) გაუმჯობესებაში.

2015 წლის ნოემბერში გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები სასწავლო ვიზიტით ესტონეთში იმყოფებოდნენ ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

© იუნისეფი/საქ-2016/გურგენიძე

© იუნისეფი/საქ-2016/გურგენიძე

© იუნისეფი/საქ-2016/გურგენიძე

ბავშვთა უფლებების მონიტორინგი სახალხო დამცველის მიერ

ბავშვის უფლებათა დამოუკიდებელი მონიტორინგის გააქტიურება და სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრისა და რეგიონალური ფილიალების შესაძლებლობების გაძლიერება იქნება სახალხო დამცველის ოფისისა და გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლობის ძირითადი სფეროები მომავალი სამი წლის განმავლობაში, 2016 წლის ივნისში გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად. თანამშრომლობა, კერძოდ, ითვალისწინებს ბავშვთა უფლებებზე სემინარების ორგანიზებას, ბავშვის უფლებათა მონიტორინგის და კოორდინაციის რეგიონალური მექანიზმების გაძლიერებას, ადვოკატირების ერთობლივი გეგმის შემუშავებას და ბავშვის უფლებათა დაცვის ხელშეწყობას.

გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით სახალხო დამცველის ოფისი აგრძელებს სხვადასხვა ინსტიტუციასა თუ ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებაში ბავშვთა უფლებების მონიტორინგს. 2015 წელს ჩატარდა სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი, ხოლო 2016 წელს- მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის სერვისებში განთავსებულ ბავშვთა მდგომარეობის მონიტორინგი.



მონაცემთა ახალი ინტერნეტ-პორტალი მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ხელშესაწყობად

2015 წელს გაეროს ბავშვთა ფონდმა შექმნა მონაცემთა ახალი პორტალი (data.unicef.ge), სადაც განთავსებულია იუნისეფის მიერ გასულ წლებში ქალებისა და ბავშვების მდგომარეობის შესახებ ჩატარებული მნიშვნელოვანი კვლევების მონაცემები. ვებ-გვერდი მოიცავს როგორც სხვადასხვა კვლევის ანგარიშებს, ასევე მონაცემთა ბაზებს, რომლებიც საშუალებას მისცემს პოლიტიკის შემქმნელებსა და მკვლევარებს, გამოიყენონ მონაცემები საკუთარი საჭიროებებისათვის.

ვებ-პორტალი მონაცემთა ონლაინ ანალიზის საშუალებას იძლევა სტატისტიკური პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე. მომხმარებლები შეძლებენ კვლევების და გამოკითხვების მონაცემთა სრული ბაზების ჩამოტვირთვას სიღრმისეული ანალიზისთვის. პორტალის მიზანია პოლიტიკის განვითარების, დაგეგმვისა და ადვოკატირებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების კვლევისა და ანალიზის ხელშეწყობა.

მედია მონიტორინგი

© იუნისეფი/საქ-2015/გურგენიძე

ბავშვთა საკითხებს მედია მხოლოდ ახალი ამბების კონტექსტში აშუქებს და მოკლე ინფორმაციით შემოიფარგლება. კვლავაც პრობლემად რჩება ისეთი თემების სიღრმისეულად გაშუქება, რომლებიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბავშვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თუმცა მედიის მცდელობა ამ მიმართულებით გაცილებით მეტად შესამჩნევია, ვიდრე გასულ წლებში - ასეთია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მონიტორინგის შედეგები, რომელიც 2015 წლის მარტი-სექტემბრის პერიოდში გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა. მონიტორინგის მიზანი, ელექტრონულ, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში ბავშვთა საკითხებზე გამოქვეყნებული მასალების შესწავლა და ეთიკურ ნორმებსა და პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზი იყო.

მედია ძირითადად ცდილობს დაიცვას ბავშვის უფლებები და ეთიკური ნორმები, თუმცა ბავშვების მიმართ სიფრთხილე ზოგჯერ უკუშედეგსაც იწვევს და ჟურნალისტები ხშირად ერიდებიან ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას ბავშვების ჩართვას თავიანთ სიუჟეტებში.

მედია მონიტორინგის გარდა, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის თანამშრომლობის ფარგლებში, ეთიკური გაშუქების საკითხებზე გაიმართა სემინარები და დისკუსიები ჟურნალისტებსა და რედაქტორებთან. საქართველოს ნაციონალურ და რეგიონალურ მაუწყებლებთან გაფორმდა სპეციალური შეთანხმება, რომლის მიზანია ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებით, არსებული თვითრეგულირების მექანიზმების გააქტიურება. მემორანდუმის ფარგლებში, მაუწყებლებმა აიღეს ვალდებულება, გააფართოონ დაინტერესებულ პირთა წრე თვითრეგულირების კომისიებში სწორედ არასრულწლოვნებთან დაკავშირებული საჩივრებისთვის.

მედია მონიტორინგი ამჟამადაც გრძელდება და მონიტორინგის ახალი ეტაპის შედეგები 2016 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდება.

აფხაზეთში მცხოვრები ბავშვების მხარდაჭერა

აფხაზეთში გაეროს ბავშვთა ფონდის პროგრამები გასცდა დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სფეროს და მოიცვა განათლებისა და ბავშვის დაცვის საკითხებიც. გაგრძელდა ჯანდაცვის, განათლებისა და ბავშვის დაცვის მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესება, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლება და ბავშვთა მდგომარეობის შესახებ მონაცემების შეგროვება.

კერძოდ, ჯანდაცვისა და ბავშვზე ზრუნვის საკითხების შესახებ მომზადება გაიარა 200 ექიმმა და ექთანმა, 400 მასწავლებელმა, პოლიციის 30 ინსპექტორმა და 25 ფსიქოლოგმა. ვორლდ ვიჟენთან თანამშრომლობით გადამზადდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა განვითარებისა და რეაბილიტაციის ცენტრების 25 წარმომადგენელი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 272 ბავშვსა და მათ მშობლებს გაეწიათ საბაზისო მომსახურებები (სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარება, მეტყველების თერაპია, ფსიქოთერაპია, ფსიქოლოგის კონსულტაცია). იმ სოფლებში, სადაც არ არის საბავშვო ბაღი, ძირითადად გალის, ტყვარჩელისა და ოჩამჩირეს რაიონებში, 495 ბავშვმა სპეციალურად შექმნილ ჯგუფებში მიიღო სკოლამდელი განათლება.

გაეროს ბავშვთა ფონდმა რაიონულ საავადმყოფოებს, სამშობიაროებსა და სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებს გადასცა მცირე ზომის სამედიცინო დანადგარები და მასალები, დაეხმარა მათ დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო პროტოკოლების დანერგვაში და დახმარება აღმოუჩინა ბავშვთა იმუნიზაციის პროგრამას, ვაქცინაციის ელექტრონულ მონაცემთა შემოღების ჩათვლით.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შექმნილი სხვადასხვა ახალგაზრდული კლუბის საშუალებით 1,000-ზე მეტი ბავშვი და ახალგაზრდა აღიჭურვა სოციალური მონაწილეობისთვის საჭირო მნიშვნელოვანი უნარებით და 6,000-ზე მეტი ბავშვი ჩაერთო სხვადასხვა აქტივობასა თუ ჯანმრთელობის ხელშემწყობ კამპანიებში.

2016 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდი გეგმავს კიდევ უფრო გააფართოოს მასწავლებელთა მომზადების პროგრამა, შექმნას სოციალური სამუშაოს სტრუქტურა და გადაამზადოს სოციალური მუშაკები ყველაზე დაუცველი ბავშვებისა და მათი ოჯახების დასახმარებლად.

რედაქტორის შენიშვნა

გაეროს ბავშვთა ფონდის საინფორმაციო ბიულეტენი გამოდის ინგლისურ და ქართულ ენებზე. მისი მიზანია გაეროს ბავშვთა ფონდის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ეს გახლავთ ბიულეტენის მეცხრამეტე გამოცემა. მივესალმებით თქვენს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს პუბლიკაციის შესახებ. გთხოვთ, გვაცნობოთ, თუ გსურთ დამატებითი ინფორმაციის მიღება გაეროს ბავშვთა ფონდისა და მისი საქმიანობის შესახებ. ამასთან, მივესალმებით შენიშვნებს, მოსაზრებებსა და წინადადებებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელს - მაია ქურციკიძეს, გაეროს ბავშვთა ფონდის ოფისში. ტელეფონი: (995 32) 2 232388, 2 251130 (შიდა ნომერი 229). ელ. ფოსტა: mkurtsikidze@unicef.org